

ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი პირების, ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების ეპიდზედამხედველობა

შესავალი

მიუხედავად ფთიაზიატრიული მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა, ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალურ პრობლემად, მიზეზი კი არაერთგვაროვანია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით სხვადასხვა მიმართულებით უნდა განხორციელდეს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც თანმიმდევრულად და ეფექტურად უზრუნველყოფენ ტუბერკულოზის დროულ გამოვლენას, სტანდარტული მკურნალობის წარმატებით დასრულებას და ამ გზით დაავადების ტრანსმისიის რისკის შემცირებას. ნაციონალური პროგრამების დონეზე პრიორიტეტი უნდა იყოს ერთის მხრივ რისკ ჯგუფებში ტუბერკულოზის აქტიური სკრინინგი, მეორეს მხრივ კი მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისათვის უწყვეტი და სრული სტანდარტული მკურნალობის უზრუნველყოფა. ქვეყნის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების, სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის და რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ის სამიზნე ჯგუფები, რომლებთანაც უპირველესად არის საჭირო მუშაობა როგორც ინდივიდუალური პაციენტის განკურნების, ისე საზოგადოებაში ტუბერკულოზის გავრცელების პრევენციის მიზნით.^{1,2,3} საქართველოს ტუბერკულოზის 2013 წლის პროგრამის მიხედვით ასეთ პრიორიტეტულ ჯგუფებად სხვებთან ერთად მიჩნეული არიან ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი პირები, ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტები და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტები, რომლებზეც ეპიდზედამხედველობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის ეპიდემიოლოგებს ეკისრებათ.⁴ მათ კონტაქტებზე ეპიზედამხედველობის გამოცდილება უკვე აქვთ, თუმცა რიგი ცვლილებების გამო საჭიროებენ ცოდნისა და უნარ-ჩვევების განახლებას, ხოლო ტუბერკულოზით დაავადებულ ყოფილ პაციენტებთან და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტებთან მუშაობა ეპიდემიოლოგებისათვის სიახლეა. ამის გათვალისწინებით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ინიციატივით და USAID საქართველოს ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ეპიდემიოლოგთა ტრენინგებს კონტაქტების, ტუბერკულოზით დაავადებული ყოფილი პაციენტების და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების ეპიდზედამხედველობის საკითხებში.

მიზანი

სასწავლო კურსის მიზანია გააფართოოს მსმენელის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც საჭიროა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთან კონტაქტში მყოფი პირების, ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების ხარისხიანი ეპიდზედამხედველობისათვის, რაც გულისხმობს მათ მოძიებას, კონსულტირებას/ინფორმირებას და ფთიზიატრიულ სამსახურში რეფერალის უზრუნველყოფას.

სამიზნე ჯგუფი

სასწავლო კურსი განკუთვნილია ქვეყნის მასშტაბით მოქმედი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის ეპიდემიოლოგებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონტაქტების, ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების ეპიდზედამხედველობაზე.

ამოცანები

სასწავლო კურსის მიმდინარეობისას მსმენელები გაიღრმავებენ თეორიულ ცოდნას და განივითარებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კონტაქტების, ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების მოძიების, კონსულტირების/ინფორმირების და რეფერალის საკითხებში და შეძლებენ:

- გაეცნონ ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს ტუბერკულოზის შესახებ (როგორც ძირითადი, ისე ფოკუსირებული ჯგუფების [კონტაქტების, პაციენტების, შეწყვეტილი მკურნალობის] მიხედვით);
- დეტალურად შეისწავლონ ტუბერკულოზის ტრანსმისიის, განვითარების და პრევენციის გზები და რისკ-ფაქტორები;
- ზოგადად გაეცნონ ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ზოგად პრინციპებს;
- შისწავლონ აუცილებელი დეფინიციები (ინდექს- პაციენტი, ოჯახური და ახლო კონტაქტი, „შეწყვეტილი მკურნალობა“ და მკურნალობისადმი ცუდი დამყოლობა);
- განსაზღვრონ, რას გულისხმობს კონტაქტების გამოვლენა, როგორ უნდა მოხდეს გამოვლენილ პირებში პრიორიტეტების მინიჭება;
- გაეცნონ ჯანმო-ს უახლეს რეკომენდაციებს კონტაქტების გამოვლენის შესახებ;
- სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მიხედვით გამოავლინონ და პრიორიტეტი მიანიჭონ კონტაქტებს, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ დიაგნოსტიკას;



- უზრუნველყონ კონტაქტების კონსულტირება/ინფორმირება ფთიზიატრთან ვიზიტის აუცილებლობის, ტუბერკულოზის გადაცემის გზების, პრევენციის და უწყვეტი სტანდარტული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ;
- ფთიზიატრიულ ქსელში მოახდინონ იმ კონტაქტების რეფერირება, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ დიაგნოსტიკას;
- დადგენილი წესის მიხედვით უზრუნველყონ ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების და „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების რეგისტრაცია, მათთან ვიზიტის ორგანიზება;
- ვიზიტისას უზრუნველყონ გათავისუფლებული პაციენტის და/ან „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტის კონსულტირება/ინფორმირება;
- უზრუნველყონ მათი რეფერალი ფთიზიატრიულ ქსელში.

განსახილველი თემები

1. ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია მსოფლიოსა და საქართველოში, ფოკუსირებული ჯგუფების ეპიდემონაცემები;
2. ტუბერკულოზის ტრანსმისიის და განვითარების გზები, რისკ-ჯგუფები და სიმპტომები;
3. ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ზოგადი პრინციპები;
4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის ეპიდემიოლოგების როლი ტუბერკულოზის მართვაში;
5. ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი პირების ეპიდზედამხედველობა;
6. ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების ეპიდზედამხედველობა;
7. „შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების ეპიდზედამხედველობა;
8. პაციენტების და მათი ოჯახის წევრების კონსულტირება/ინფორმირება.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა

სასწავლო კურსი ერთდღიანია და მოიცავს 8 აკადემიურ საათს. კურსი განკუთვნილია 10-12 მსმენელით დაკომპლექტებული ჯგუფებისათვის. თითოეული სესიის დროს შესაბამისი თემა წარმოდგენილი იქნება პრეზენტაციის სახით. სესიების შემდეგ გათვალისწინებულია მსმენელების პრაქტიკული მეცადინეობა. კურსის დასრულებისას მსმენელებს დაურიგდებათ სპეციალურად შემუშავებული პროტოკოლები. სასწავლო კურსის დეტალური განრიგი მოცემულია ცხრილში N1.

ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი პირების,
ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პატიმრების და „შეწყვეტილი“
მკურნალობის მქონე პაციენტების ეპიდზედამხედველობა

გ ა ნ რ ი გ ი

დრო	თემის დასახელება	ტრენერი
10:00 – 10:30	სასწავლო კურსის გახსნა; პრე-ტესტი	
10:30 – 11:15	ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია მსოფლიოსა და ცირა მერაბიშვილი საქართველოში, ფოკუსირებული ჯგუფების ეპიდმონაცემები; ცირა ჩახაია	
11:15 – 12:00	ტუბერკულოზის ტრანსმისიის და განვითარების გზები, რისკ- ჯგუფები და სიმპტომები;	ნელი სოლომონია ცირა ჩახაია
12:00 – 12:45	ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ზოგადი პრინციპები	ნელი სოლომონია
12:45 -13:15	ლანჩი	
13:15 -14:00	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის ეპიდემიოლოგების როლი ტუბერკულოზის მართვაში	ცირა მერაბიშვილი
14:00 – 14:45	ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი პირების ეპიდზედამხედველობა	ცირა მერაბიშვილი
14:45 – 15:30	ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პატიმრების ეპიდზედამხედველობა	ცირა მერაბიშვილი
15:30 – 16:45	„შეწყვეტილი“ მკურნალობის მქონე პაციენტების ეპიდზედამხედველობა	ცირა მერაბიშვილი
16:45 – 17:30	პაციენტების და მათი ოჯახის წევრების კონსულტირება/ ინფორმირება	ნელი სოლომონია
17:30 – 18:00	პოსტ-ტესტი; სასწავლო კურსის დახურვა	

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Systematic screening for active tuberculosis: principles and recommendations, WHO, 2013.
http://apps.who.int/iris/bitstream/10665/84971/1/9789241548601_eng.pdf
2. Recommendations for investigating contacts of persons with infectious tuberculosis in low-
and middle-income countries, WHO, 2012.

http://apps.who.int/iris/bitstream/10665/77741/1/9789241504492_eng.pdf

3. Guidelines on Management of Tuberculosis; Management of Tuberculosis (Third Edition);
Malaysia, 2012

http://www.mts.org.my/resources/Guidelines_TB.html

[http://www.mts.org.my/resources/CPG_Management%20of%20Tuberculosis%20\(3rd%20Edition\).pdf](http://www.mts.org.my/resources/CPG_Management%20of%20Tuberculosis%20(3rd%20Edition).pdf)

4. Informed patient consent for defaulter tracing: should we obtain it?

<http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/19383185>

5. ტუბერკულოზის მართვის პროგრამა (კოდი: 35 03 03 030); თბილისი, 2013;

6. Effective TB Interviewing for Contact Investigation: Self-Study Modules 2006

<http://www.cdc.gov/tb/publications/guidestoolkits/Interviewing/selfstudy/default.htm>